

ახეყო და წარსულის გაკვეთილები

ინოვაციებისა და სამოქალაქო
განვითარების ცენტრი
„პროგრესის სახლი“

საგაზეთო ჩანართი №3-N4 (14-15), 2026 წ.

თქვენ წინაშეა საგაზეთო ჩანართი, რომელიც მომზადებულია მოხალისეობრივ სანაყისებზე. პროექტს ახორციელებს **ოზურგეთის ინოვაციებისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრი – პროგრესის სახლი.**

გამოცემაში პერიოდულად წარმოგიდგენთ პუბლიკაციებს, სხვადასხვა დროსა და სივრცეში შექმნილ ნაშრომებს სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიული ღირებულებების შესახებ. ჩვენი მიზანია, მკითხველს წარმოვუდგინოთ ქართველი და უცხოელი ავტორების მოსაზრებები სამოქალაქო ფასეულობების როლსა და მნიშვნელობაზე

წარმოვუდგინოთ ქართველი და უცხოელი ავტორების მოსაზრებები სამოქალაქო ფასეულობების როლსა და მნიშვნელობაზე

პროექტის გუნდი.

ეროვნული თვითმყოფადობისათვის ბრძოლის ქრონიკა

სსრკ - რუსული იმპერიის სასტიკი ბრძოლა საქართველოს იდენტობის ჩასახშობად

მარტი
1956

9 მარტი, 1956 წ. თბილისი, კოლმეურნეობის მოედანი

1

სტალინის „დემონიზება“ – ეროვნული ღირსების ფელაზვა

1956 წლის 9 მარტი, ქართველების პროტესტი ღირსების შელახვის ნიშნით, საქართველოს ისტორიაში ეროვნული თვითმყოფადობისათვის ბრძოლის ერთ-ერთი ტრაგიკული და ყველაზე ბურუსით მოცული თარიღია.

პროტესტის მიზეზი და დასაწყისი: იოსებ სტალინის გარდაცვალების შემდეგ (1953 წ.), სსრკ-ს ახალმა ხელმძღვანელობამ, ნიკიტა ხრუშჩოვის მეთაურობით, დაიწყო „დეზინტეგრაციის“ ანუ სტალინიზმის დაგმობის პროცესი. 1956 წლის თებერვალში, სკკპ XX ყრილობაზე ხრუშჩოვმა წაიკითხა საიდუმლო მოხსენება „პიროვნების კულტისა და მისი შედეგების შესახებ“, სადაც სტალინი სასტიკად გააკრიტიკა. ქართველებსათვის ეს არ იყო მხოლოდ პოლიტიკური საკითხი; მათი მნიშვნელოვანი ნაწილისთვის ეროვნებით ქართველი სტალინის „დემონიზება“ და „პიროვნების კულტის“ დაგმობამ ეროვნული ღირსება შელახა და პროტესტის ტალღა გამოიწვია.

1956 წლის 5-9 მარტს თბილისში იმართებოდა სპონტანური მიტინგები. ხალხი იკრიბებოდა სტალინის ძეგლთან, მაშინდელ კოლმეურნეობის, ახლანდელი ორბელიანის მოედანზე. 9 მარტს დაძაბულობამ პიკს მიაღწია. დემონსტრანტების რიცხვი გაიზარდა. ვითარება სსრკ სასტიკი რეჟიმის კონტროლიდან გამოვიდა.

მიზანი: მომიტინგეთა მოთხოვნები იყო სტალინის სახელის დაცვა და ხრუშჩოვის პოლიტიკის გაკრიტიკება. თვითმხილველთა გადმოცემით, აქციის მსვლელობისას ანტისაბჭოთა ლოზუნგებმაც, საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნამაც გაიჟღერა.

კრემლის სისხლიანი ოპერაცია, 9 მარტი: კრემლმა, რუსულმა საბჭოთა ხელისუფლებამ 9-10 მარტის ღამეს, სტალინის ძეგლთან შეკრებილი მშვიდობიანი დემონსტრანტები სასტიკად დაარბია ტანკებისა და სამხედრო ძალის, მერვე პოლკის გამოყენებით, ფაქტობრივად, დახვრიტა ახალგაზრდები. ოფიციალური მონაცემებით, 9 მარტს 27 ადამიანი დაიღუპა, 54 დაიჭრა. თუმცა, არაოფიციალური ინფორმაციით, დახოცილთა რაოდენობამ 100-ს გადააჭარბა. იყვნენ დაჭრილები, დაპატიმრებულები.



<h1>27</h1> <p>დაღუპული ოფიციალური მონაცემებით</p>	<h1>54</h1> <p>დაჭრილი ოფიციალური მონაცემებით</p>	<h1>100+</h1> <p>დახოცილი არაოფიციალური მონაცემებით</p>	<p>1956 წლის 9 მარტის ტრაგედია იყო პირველი მასშტაბური ღია დაპირისპირება ქართველ ერსა და საბჭოთა რეჟიმს შორის სტალინის შემდგომ პერიოდში. ამ დღეს დაინგრა საბჭოთა კეთილდღეობის მითები და საფუძველი ჩაეყარა თანამედროვე ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, რომელიც მოგვიანებით, 1980-იან წლებში, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენით დასრულდა.</p>
--	---	---	---

აპრილი
1978

14 აპრილი, 1978 წ. თბილისი, რუსთაველის გამზირი

2

ენა, როგორც გამაღებობის სიმბოლო რუსული იმპერიის წინააღმდეგ



ქართული ენის დღე, 14 აპრილი, შეხსენებაა, რომ თავისუფლებასა და ენას მუდმივი ზრუნვა და დაცვა სჭირდება. 1978 წლის 14 აპრილს, როცა სსრკ-ს სასტიკ რეჟიმში სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება ჩახშობილი იყო, ქართველი ახალგაზრდობა დაუპირისპირდა კრემლის რუსიფიკაციის პოლიტიკას მშვიდობიანი საპროტესტო მიტინგებით.

მიზეზი: 1978 წელს კრემლი (საბჭოთა კავშირის ცენტრალური ხელისუფლება) აპირებდა საქართველოს სსრ კონსტიტუციიდან იმ **მუხლის** ამოღებას, რომელიც ქართულ ენას **სახელმწიფო ენის სტატუსს** ანიჭებდა. კერძოდ, მზადდებოდა საბჭოთა საქართველოს ახალი კონსტიტუციის პროექტი, სადაც აღარ იყო 1937 წლის კონსტიტუციის 75-ე მუხლის ჩანაწერი: „საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახელმწიფო ენა არის ქართული ენა“.

ახალი პროექტით, სახელმწიფო ენის სტატუსის ნაცვლად, ხელისუფლება მხოლოდ „უზრუნველყოფდა ქართული ენის გამოყენებას“ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში.

მიზანი: რუსული ენის როლის გაძლიერება. ეს იყო საბჭოთა კავშირის მასშტაბით მიმდინარე რუსიფიკაციის პოლიტიკის ნაწილი.

კრემლის ამ განზრახვას თბილისში მოჰყვა მასობრივი, მრავალათასიანი საპროტესტო აქციები, ძირითადად სტუდენტებისა და ინტელიგენციის მონაწილეობით. ხალხის მტკიცე წინააღმდეგობის გამო, საბჭოთა ხელისუფლება იძულებული გახდა დაეთმო და კონსტიტუციაში ქართული ენის სახელმწიფო სტატუსი შეინარჩუნა.

გრიგოლ ორბელიანის და ილია ჭავჭავაძის გაფრთხილება

„რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს, წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას“, – წერდა გამოჩენილი ქართველი პოეტი გრიგოლ ორბელიანი XIX საუკუნეში, როცა საქართველოში სახელმწიფო ენა რუსული იყო, ხოლო ილიას ლოზუნგი „მამული, ენა, სარწმუნოება“ პირდაპირი პასუხი იყო იმ გარე ზეწოლაზე, რომელიც რუსეთისგან სახელმწიფოებრიობა წართმეულ ქართულ სამყაროს ემუქრებოდა

1978 წლის 14 აპრილი საქართველოს უახლეს ისტორიაში ერთ-ერთი გარდამტეხი თარიღია. ეს არ იყო მხოლოდ მშვიდობიანი პროტესტი მოსკოვის მიერ თავსმოხვეული კონსტიტუციური ცვლილების წინააღმდეგ; ეს იყო ქართველი ერის ერთიანი პასუხი საბჭოთა იმპერიალიზმის წინააღმდეგ, რომელიც ჩვენი იდენტობის მთავარი საყრდენის – სახელმწიფო ენის წართმევას ცდილობდა.

ქართული ენის სიძლიერე ნიშნავს ქართველი ერის დამოუკიდებლობას, რასაც კრემლი ყოველთვის საფრთხედ აღიქვამდა.

← ცივილიზებული სამყაროსა და ევროპული ოჯახის ღირებულებები

1990 წლის 14 აპრილს, როდესაც ქვეყანა ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში იყო, თუმცა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა პიკს აღწევდა,

და, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის (სსრ) უზენაესი საბჭომ, სადაც უკვე მნიშვნელოვანი წარმომადგენლობა ჰქონდათ ეროვნული მოძრაობის წევრებს, დაანება 14 აპრილს დედაენის დღის აღნიშვნა.

აპრილი 1989

9 აპრილი, 1989 – თბილისი, რუსთაველის გამზირი



მამულისათვის თავბანჯირვისა და დიდი გამარჯვების სიმბოლო

1989 წლის 9 აპრილს დაილუპნენ:

- აზა ადამია
- ნათია ბაშალეიშვილი
- ეკა ბეჟანიშვილი
- ნატო გიორგაძე
- თამუნა დოლიძე
- თინა ენუქიძე
- ნინო თოიძე
- ზაირა კიკვიძე
- მანანა ლოლაძე
- თამარ მამულაშვილი
- მანანა მელქაძე
- ვენერა მეტრეველი
- მამუკა ნოზაძე
- ნანა სამარგულიანი
- გია ქარსელაძე
- შალვა ქვასროლიაშვილი
- ელისო ჭიპაშვილი
- თამარ ჭოველიძე
- მარინა ჭყონია-სამარგულიანი
- ნოდარ ჯანგირაშვილი

9 აპრილს, დაახლოებით დილის 4 საათზე, კრემლში გაიცა ძალის გამოყენების ბრძანება.

საბჭოთა სამხედრო ნაწილებმა, შინაგანმა ჯარებმა და სპეც-დანაყოფებმა ჩაკეტეს რუსთაველის გამზირი.

1989 წლის 9 აპრილი საქართველოს ახალ ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე ტრაგიკული და, ამავდროულად, გარდამტეხი დღეა. 1989 წლის გაზაფხულზე, მარტ-აპრილში, თბილისში, რუსთაველის გამზირზე – საქართველოს უზენაესი საბჭოს, შემდგომში პარლამენტის წინ – ათასობით ადამიანი შეიკრიბა. მოითხოვდნენ დამოუკიდებლობას და საბჭოთა კავშირიდან გასვლას. მიტინგი მშვიდობიანი იყო; ოჯახები ბავშვებით გამოდიოდნენ.

საქართველოში ეროვნული მოძრაობა სწრაფად იზრდებოდა – ღიად საუბრობდნენ რუსეთის მიერ საქართველოს 1921 წლის ოკუპაციაზე, ენის დაცვაზე, დამოუკიდებლობაზე, ერთიანობაზე.

1989 წლის 9 აპრილის ღამეს მოსკოვიდან გამოგზავნილმა საბჭოთა ჯარის სპეცრაზმმა თბილისში, რუსთაველის გამზირზე, მშვიდობიანი მომიტინგეები დაარბია. გამოიყვანა ტანკები, სამხედროები ალესილი ნიჩბებით სცემდნენ და ასახიჩრებდნენ გაქცეულ ხალხს. ჯარისკაცები შეიარაღებული იყვნენ სამხედრო ნიჩბებითა და ქიმიური ნივთიერებებით – Cheryomukha (CN/CS) - რომელიც გამანადგურებელ ზიანს აყენებდა ადამიანის სასუნთქ სისტემას. დაილუპა 21 ადამიანი, ასობით – დაიჭრა.

რუსეთმა ისევ მუხანათურად გაილაშქრა საქართველოს თავისუფლებაზე.

მშვიდობიანი დემონსტრაციის სასტიკმა დარბევამ და უდანაშაულო ადამიანების მსხვერპლმა სრულიად საქართველო გააერთიანა ერთი მიზნის გარშემო – დამოუკიდებლობის აღდგენა.

კომუნისტური პარტიის რიგითი წევრები მასობრივად ტოვებდნენ პარტიას, ხოლო თავად პარტიული ხელმძღვანელობა პარალიზებული და დემორალიზებული იყო, ვერ ახერხებდა პროცესების მართვას და ეროვნული მოძრაობისთვის წინააღმდეგობის განწევას.

1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის 1991 წლის გამარჯვებად გარდაქმნა იყო რთული პოლიტიკური და საზოგადოებრივი პროცესი, რომელმაც საქართველო საბჭოთა იმპერიის მარნუხებიდან საბოლოო გათავისუფლებამდე მიიყვანა.



...რად ვდუმვართ და მიცვალებულის მოთმინებით ველოდებით გაურკვეველ მომავალს? „რა უნუგეშო ყოფნაა ნელთა სვლა მხოლოდ მზერაში“ (ვაჟა-ფშაველა). ნუთუ ქართველმა ხალხმა დღემდე ვერ გაიგო და ვერ ირწმუნა, რომ რუსეთს საქართველოში, ქართველთა გარუსების გარდა, სხვა მიზანი და ამოცანა არ ჰქონია?



„პროლეტარული ინტერნაციონალიზმი“ – ეს ცნებები, რუსეთს არსად არც ერთხელ არ გამოუყენებია სხვა ხალხის სასარგებლოდ.

1945 წლის გამარჯვების შემდეგ რუსეთმა გერმანიას წაართვა აღმოსავლეთი პრუსია. კანტის მშობლიურ ქალაქს – კენიგსბერგს კალინინგრადი უწოდა და მიითვისა. თუ რუსები მართლა არიან ინტერნაციონალისტები, მაშინ რატომ არ უბრუნებენ სოციალისტური გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას აღმოსავლეთი პრუსიას კენიგსბერგითურთ. აღმოსავლეთი პრუსია ხომ უძველესი გერმანული ტერიტორიაა! მაგრამ რუსი კომუნისტების ლოგიკით, თუ გერმანელები საკუთარ ტერიტორიას დაიბრუნებდნენ, ეს იქნება ნაციონალიზმის აღორძინება, ხოლო, თუ აღმოსავლეთი პრუსიას რუსეთი ჩაიჯიბავს, ეს – პროლეტარული ინტერნაციონალიზმის გამოვლენა.

მოლდავეთი-ეთნიკურად, – ენით, კულტურით რუმინეთის ნაწილია. არც სოციალისტურ რუმინეთს უბრუნებენ რუსები მოლდავეთს. თუმცა მოლდაველებს უნდათ ეს. რატომ? ისევ რუსი კომუნისტების „ლოგიკით, – თუ მოლდავეთი რუმინეთს შეუერთდება, ეს იქნება რუმინული ნაციონალიზმის გამაგრება, ხოლო, თუ მოლდაველებს გააარუსებენ, ეს – პროლეტარული ინტერნაციონალიზმი და ხალხთა ურთიერთდაახლოება. იაპონიის კომუნისტურ პარტიას ღია წერილით მიუმართავს სკკპ-სთვის, იაპონელი კომუნისტები ითხოვენ, დაუბრუნოს რუსეთმა იაპონიას

სსრკ – „პროლეტარული ინტერნაციონალიზმი“:

ცნებებით — „პროლეტარული ინტერნაციონალიზმი“ და „ხალხთა ურთიერთდაახლოება“ - შენიღბულია ველიკოდერჟავნიკული რუსული შოვინიზმი

გეოპოლიტიკური და კულტურული თვალთმაქცობა

ტერიტორიული ექსპანსია vs „ნაციონალიზმი“

რუსეთის, სსრკ-ს მიერ პრუსიის, მოლდოვას მითვისება და გარუსება

„ინტერნაციონალიზმი“

საკუთარი ტერიტორიის დაბრუნება

„ნაციონალიზმი“

ასიმილაციის ორმაგი სტანდარტი

დასავლური ასიმილაცია

„რასობრივი დისკრიმინაცია“

სხვა ერების გარუსება

„კაცობრიობის ბედნიერი მომავალი“

იაპონიის კურილიის კუნძულების საქმე - რუსეთმა იაპონელი კომუნისტები დატუქსა ტერიტორიის დაბრუნების მოთხოვნის გამო და ეს „ინტერნაციონალიზმის დარღვევად“ მონათლა.

სამართლებრივი აბსურდი

კონსტიტუციის 72-ე მუხლი vs ჰიმნი

კონსტიტუციის 72-ე მუხლი /ჰიმნი -

კონსტიტუციის 72-ე მუხლი სსრკ-დან გასვლის უფლებას აცხადებს

აბსურდი

ჰიმნი

ჰიმნი სსრკ-ს საუკუნოდ შეკრულს და ურღვევს უწოდებს

„დიდმა რუსმა ხალხმა სამუდამოდ შექმნა „თავისუფალ ერთა მძლე კავშირი ძმური“

ქართველი მარქსისტ-ლენინელი თუთიყუშით იმეორებს კრემლის სიცრუეს

თვალთმაქცობა, როგორც იარაღი

რუსული შოვინიზმი ცნებებს მხოლოდ საკუთარი იმპერიული ინტერესების შესანიღბად იყენებს.

NotebookLM

ძალით წართმეული კურილიის კუნძულები. ამის პასუხად რუსმა „ინტერნაციონალისტებმა“ დატუქსეს იაპონელი კლასობრივი ძმები და პარტიული თანამოაზრეები – როგორ ბედავთ და ითხოვთ, სოციალისტურ სახელმწიფოს ჩამოერთვას ტერიტორია და კაპიტალისტურ სახელმწიფოს გადაეცესო. ეს ხომ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საშინელი დარღვევააო. იმ ქვეყანაში, სადაც ვითომ კონსტიტუციით გარანტირებულია სიტყვის თავისუფლება, სხვა ქვეყნის კომუნისტების წერილი არ დაბეჭდეს. მხოლოდ რუსების პასუხით თუ გაიგებ კაცი, რა სურთ იაპონელ კომუნისტებს.

ასე თვალთმაქცურად იყენებს რუსული კომუნისტური შოვინიზმი ცნებებს – „პროლეტარული ინტერნაციონალიზმი“ და „ხალხთა ურთიერთდაახლოება“. საერთოდ, თვალთმაქცობა რუსი კომუნისტების ერთ-ერთი ქმედითი იარაღია. მაგალითად, თუ რომელიმე აფრიკელი ზანგი ან ამერიკელი ინდიელი გაფრანგდება ან გაინგლისელდება, რუსები ერთ ვაი-უშველებელს და დავიდარაბას ასტეხენ. დაარქმევენ ამას რასობრივ დისკრიმინაციას, ეროვნულ ჩაგვრას თავისუფლების დათრგუნვას და ა.შ. ხოლო ქართველი, სომეხი ან უზბეკი თუ გარუსდება, ეს კაცობრიობის ბედნიერი მომავალია და ეროვნული საკითხის ერთადერთი საუკეთესო გადაწყვეტა. სად არის აქ ლოგიკა? არსად. სამაგიეროდ უხვად არის თვალთმაქცობა და ორპირობა, ეს ორპირობა მკაფიოდ გამოავლინეს სსრკ-ის კონსტიტუციასა და ჰიმნში.

კონსტიტუციაში ნათქვამია: „ყოველ მოკავშირე რესპუბლიკას „დატოვებული აქვს სსრ კავშირიდან გასვლის უფლება – (თავი III, მუხლი 72).

ჰიმნში მღერიან: **Союз нерушимый республик свободных, Сплотила навеки Великая Русь.** თუ სსრკ **нерушимый**-ა და **навеки** შეკრული, მაშინ რაღა გასვლაზე შეიძლება ლაპარაკი? ცხადია, არავითარზე. ვერც ვერავინ ფიქრობს ამ გასვლაზე. ქართველი მარქსისტ-ლენინელი თუთიყუშით იმეორებს – დიდმა რუსმა ხალხმა სამუდამოდ შექმნა „თავისუფალ ერთა მძლე კავშირი ძმური“. კონსტიტუციის ციტირებული მუხლი მორიგი სიცრუეა. უფრო გულახდილ რუსებს უთქვამთ კიდეც, ეს ცრუ მუხლი გავაუქმოთო.

თბილისი, 1979 წელი.

გამხმარია, ხმელია ის საზოგადოება, რომელთა ნევრებიც მონურად, ყვეყჩ-ჩერჩეტად არიან აღზრდილნი და არ უყვართ თავისუფლება, ხდება თავის თავის მტერი, თელავს ფეხით თავისვე ბედნიერებას.

ამისთანა საზოგადოება თუ სახელმწიფო ბუდეა ყველანაირს უსამართლობისა, ადვილად ჩნდებიან დაჩაგრულნი და მჩაგვრელნი, გაცარცულნი და მძარცველნი და იმართება მათ შორის ბრძოლა.

თავისუფლება გამოიხატება ადამიანის ნდობა-მისწრაფებაში: თავისუფლება მისწრაფებაა, განხორციელება ნებისა, აზრისა, გრძნობისა და არა, განსვენება უქმად ყოფნისა.

ვაჟა

ჩანართი მომზადებულია ინოვაციებისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრი – პროგრესის სახლის მიერ
 მისამართი: 3500, ქ. ოზურგეთი, 26 მაისის ქ. N11 ა
yscozurgeti@gmail.com